`

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაზედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს ---- დირექტორი ტ. ა.

წარმომადგენელი: ლ. ს.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.06.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 071/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ფ. ს.-ის მიმართ /სიითი №1949/1/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ფ. ს.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 05 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შპს ----- დირექტორმა ტა ა.-მა და მოითხოვა ადვოკატ ფ. ს.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, შპს ---- სარჩელის აქვს შეტანილი მცხეთის რაიონულ სასამართლოში შპს ----- მიმართ, რომლის ინტერესებს იცავს ადვოკატი ფ. ს.. საჩივარში აღნიშნულია, რომ ადვოკატი წარმომადგენლობით უფლებამოსილების გადამეტებით არღვევს მორალურ და ეთიკურ ქცევის წესებს. კერძოდ, ადვოკატმა ფ. ს.-მა საჩივრებით მიმართ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, გარემოს დაცვის სამინისტროს, თბილისის საქალაქო სასამართლოს. მისი საჩივრები სცილდება სამართლიანი პაექრობის ფორმებს და ეფუძნება უსაფუძვლო ბრალდებებს, რის გამოც ჩამოთვლილი ორგანოების მხრიდან ვერ დადგინდა საჩივრებში მოყვანილი გარემოებები. ასევე, ადვოკატი ახორციელებს

კომპანიის მიმართ ცილისწამებებს და პროვოკაციებს და შპს ----- მოიხსენიებს, როგორც „ფულის გამთეთრებელ კომპანიად“, რომელიც თითქოსდა ახორციელებს უკანონო ჩათვლებს, შესრულებებს, ითვისებს სახელმწიფო ქონებას და ასე შემდეგ.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ფ. ს.-ის მიზანია შპს „მერფი ყაზბეგის“ მიმართ უარყოფითი აზრის შექმნა ყველა იმ პირისთვის, ვისაც კომპანიასთან საქმიანი ურთიერთობის განზრახვა ექნება.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ფ. ს.-ის მიერ შედგენილ საჩივრებში მითითებული გარემოებებს არ გააჩნიათ რაიმე სახის შემხებლობა დავის საგანთან, ადვოკატს ასევე არ გააჩნია მითითებული გარემოებების დამადასტურებელი მტკიცებულებები. აღნიშნულის გამო საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატის მოქმედებები ეწინააღმდეგება ეთიკის ნორმებს.

2. **ადვოკატის პოზიცია:**

2.1 2019 წლის 26 ივნისს ადვოკატმა ფ. ს.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, რის გამოც უნდა შეწყდეს საქმის წარმოება.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის სექტემბრიდან ახორციელებს შპს ----- ინტერესების დაცვას, როგორც სამოქალაქო სამართალწარმოების, ასევე შპს ----- მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის ფაქტებთან დაკავშირებით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ის ვალდებულია დაიცვას კლიენტის ინტერესები, როდესაც საქმის წარმოების დროს გამოიკვეთება სავარაუდო დანაშაული ნიშნები, გარდა ამისა, ის როგორ საზოგადოების წევრიც ვალდებულია დანაშაულის არსებობის შემთხვევაში მიმართოს შესაბამის ორგანოებს. მოცემულ შემთხვევაშიც, შპს ------ სამოქალაქო საქმის წარმოებისას, ადვოკატის მიერ მოპოვებული და კლიენტის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ შპს ------ ქმედებებში გამოიკვეთა სავარაუდო დანაშაულის ნიშნები შპს ------, რის გამოც ადვოკატმა კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, საჩივარი გადაიგზავნა მცხეთის ფინანსურ პოლიციაში და მიმდინარეობს გამოძიება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, შპს ----- შპს ------ მიმართ დავალიანება აქვს 1 300 000 ლარზე მეტი. შპს ----- დავალიანება აქვს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართაც, რაზედაც მიმდინარეობს დავა მცხეთის რაიონულ სასამართლოში. ცრუმაგიერ პირად ცნობასთან დაკავშირებით რამდენიმე საქმე განიხილება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში, ვინაიდან შპს „მერფი ყაზბეგს“ და მათ დამფუძნებლებს დაფუძნებული აქვთ რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული კომპანია .

2.5 ადვოკატი ფ. ს. აღნიშნავს, რომ ის მოქმედებს მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესებიდან გამომდინარე და საადვოკატო მოქმედებებს ახორციელებს კეთილსინდისიერად.

II სამოტივაციო ნაწილი

3. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი ფ. ს. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი№1949/1/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 შპს ----- დირექტორმა ტაჰირ ალიევმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 05 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2019 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ფ. ს.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება:**

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა ფ. ს. შპს ------სახელის შელახვის მიზნით მიმართავს სხვადასხვა ორგანოებს საჩივრებით, სადაც მიუთითებს არარეალურ ფაქტებზე, რომლის ამსახველი მტკიცებულებები მას არ გააჩნია. ასევე, ადვოკატი ფ. ს. შპს ------ მისამართით იყენებს შეურაცხმყოფელ ფრაზებს.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ფ. ს.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.გ მუხლის „ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი: „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“.

5.3 ადვოკატი მუდმივად უნდა ზრუნავდეს შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება და პატივი სცეს თავის საქმიანობას, რისთვისაც თავი უნდა აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

5.4 საპროცესო კოლეგია საჩივრის ავტორის პრეტენზიას განიხილავს პროცესის მონაწილე პირის მიმართ დადგენილი ვალდებულების ფარგლებში, ვინაიდან საჩივრის მიხედვით, ადვოკატ ფ. ს.-ის მოქმედებები მიმართულია მიწინააღმდეგე მხარის - შპს ----- წინააღმდეგ, მისი მოქმედებები ასევე არ ემსახურება საკუთარი კლიენტის ინტერესებს. შესაბამისად, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ ადვოკატ ფ. ს.-ის მოქმედებების გამართლება შეუძლებელია კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულებით. საჩივრის ავტორის განმარტებებისგან განსხვავებით, ადვოკატი ფ. ს. მიუთითებს, რომ ის მოქმედებდა კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით და ამავე დროს, მას როგორც მოქალაქეს უფლება აქვს რეაგირება მოახდინოს არაკანონიერ მოქმედებებზე.

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიას არ აქვს უფლებამოსილება შეაფასოს ადვოკატის მიერ განხორციელებული მოქმედებების ხარისხი, მის მიერ შედგენილი დოკუმენტის შინაარსი ან სხვადასხვა ორგანოსთვის მიმართვის სურვილი, რომელიც განხორცილებული იქნება კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში ან მის გარეშე. შესაბამისად, ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად მიმართოს ნებისმიერ ორგანოს, ასევე ადვოკატს სხვა მოქალაქეების მსგავსად უფლება აქვს მიმართოს სხვადასხვა უწყებებს, როდესაც მიიჩნევს, რომ შესაძლოა სახეზე იყოს არაკანონიერ ქცევა და ამისთვის გამოიყენოს პროფესიული ცოდნა და გამოცდილება.

5.6 ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოებისას მხარეები თავად იღებენ ფაქტების გადმოცემის, მათი დამტკიცებისა და დასაბუთების რისკს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორი პრეტენზიებთან ერთად არა წარმოადგენს მტკიცებულებებს, რომლითაც შესაძლოა დადასტურდეს ადვოკატის მოქმედებებში ეთიკის ნორმების დარღვევა. მხოლოდ მითითება, რომ ადვოკატი ცდება კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულებას და მოქმედებს არაკეთილსინდისიერად არ წარმოშობს დასაბუთებულ ვარაუდს პრეტენზიების დასადასტურებლად. ამავე დროს, კოლეგია მიუთითებს საჩივრის ავტორს, რომ ეთიკის კომისიას არ აქვს უფლება დაადგინოს ადვოკატის არაკანონიერი ქცევა, რასაც შესაძლოა გამოეწვია მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის უფლებების შელახვა. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს უფლება აქვს მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს. საპროცესო კოლეგიას კი შეუძლია იმსჯელოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსისა და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, კომპეტენტური ორგანოს მიერ დადასტურებული გარემოების არსებობის შემთხვევაში.

5.7 საპროცესო კოლეგია ასევე ვერ ადგენს ადვოკატ ფ. ს.-ის მხრიდან შპს ----- მიმართ განხორციელებულ შეურაცხყოფის ფაქტებს. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ ადვოკატი მათ მოიხსენიებს „ფულის გამთეთრებელ კომპანიად“, რისი დამადასტურებელი მტკიცებულებაც მას ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენიათ. ასეთის არსებობის შემთხვევაშიც, საჩივრის ავტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, ვინაიდან მსგავსი ტერმინით მიმართვა წარმოადგენს მტკიცებას დაქვემდებარებულ ფაქტს, კერძოდ სისხლის სამართლის დანაშაულზე მითითებას, რაც საჭიროებს შესაბამის დადასტურებას და მის ცილისწამებად კვალიფიკაციას. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის 1(ე) მუხლის მიხედვით „ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება“. ამ უფლების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით, პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

5.8 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ფ. ს. ქცევაში არ გამოიკვეთა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევა. საჩივრის ავტორმა ვერ შეძლო დაედასტურეინა თუ რაში გამოიხატა ადვოკატ ფ. ს.-ის მხრიდან მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების შელახვა, რის გამოც წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველს.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 27-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №071/19 ადვოკატ ფ. ს. მიმართ /სიითი №1949/1/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიისწევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/